

სოციალური მეწარმეობა საქართველოში2

კონკურსის - „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად“ ფინალი....2

CAF, სესია “სოციალური საწარმო: სოციალური ცვლილების კატალიზატორი”4

გ ა ი ც ა ნ ი თ5

სოციალური საწარმო ”სობისის ახალგაზრდული კოოპერატივი”5

სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები.....7

ჰალტის პრიზი7

Skoll Foundation –ის პრიზები სოციალურ მეწარმეებს.....8

კონკურსის - „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად“ ფინალი

2014 წლის 20 მარტს სასტუმრო “შერატონ მეტეხი პალასში” გაიმართა კონკურსის “სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2013” უნივერსიტეტთაშორისი ფინალი.

ღონისძიების პირველ ნაწილში შიდასაუნივერსიტეტო კონკურსში გამარჯვებულმა გუნდებმა წარმოადგინეს სამი თვის განმავლობაში მათ მიერ განხორციელებული პროექტების შედეგები. თითოეული პრეზენტაციის დამთავრების შემდეგ ჟიურის წევრებსა და მონაწილე გუნდებს შორის იმართებოდა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში.



კონკურსის მსვლელობისას გამოვლინდნენ გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციებში:

1. გრანპრის მფლობელი გახდა გუნდი **"Brain Power"**;
2. ნომინაციაში "საუკეთესო ივენთ-მენეჯმენტი" გამარჯვებული გახდა გუნდი **"Better Day"**;
3. ნომინაციაში "ყველაზე გუნდური" გამარჯვებული გახდა გუნდი **"Hit For Brains"**.



სოციალურ მეწარმეობაში ახალგაზრდული პოტენციალის გამოყენების მიზნით, შიდასაუნივერსიტეტო კონკურსებში მეორე ადგილზე გასულ გუნდებს მიეცათ საშუალება გაეგრძელებინათ კონკურსში მონაწილეობა. მათთვის დაწესდა ნომინაცია "საუკეთესო ბიზნეს გეგმა". გუნდებმა შეარჩიეს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც სურდათ სოციალური საწარმოს დაარსება და მათთან ერთად დაწერეს ბიზნეს გეგმა, ხოლო თავიანთი ნამუშევრები პრეზენტაციების სახით წარადგინეს დასკვნით ღონისძიებაზე.



ნომინაციაში "საუკეთესო ბიზნეს გეგმა" გაიმარჯვა გუნდმა **"Soccreative"**. გამარჯვებულმა გუნდმა საზოგადოებრივ ორგანიზაცია "თემქა-ზღვისუბანთან"

თანამშრომლობით შექმნა სოციალური საწარმოს ბიზნეს გეგმა, სახელწოდებით "ტრადიციული მოდის სახლი".



საზოგადოებრივი ორგანიზაცია "თემქა-ზღვისუბანი" ახორციელებს ზრდასრულთა განათლების სხვადასხვა პროგრამებს, რომლებიც ორიენტირებულია ყველა ასაკის მოქალაქეების პროფესიული დახელოვნების ამალგებაზე, პიროვნული განვითარების ხელშეწყობაზე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციაზე და მოქალაქეების გააქტიურებაზე.

ორგანიზაციამ გადაწყვიტა დააფუძნოს სოციალური საწარმო, რომელიც მის მდგრადობას შეუწყობს ხელს და მისიის განხორციელებაშიც თვითონ იქნება ქმედითი ინსტრუმენტი, რადგან საწარმოს ბაზაზე შეიქმნება ორგანიზაციის მიერ სოციალური სერვისების მიწოდებისთვის აუცილებელი პირობები და გარემო.



სახელოსნოში დასაქმებული იქნებიან შემოქმედებითი უნარების მქონე ქალბატონები, რომლებსაც რთული ოჯახური პირობების გამო არ შეუძლიათ სრული სამუშაო განაკვეთით მუშაობა (ვისაც ჰყავს მცირეწლოვანი ბავშვები, ოჯახში ჰყავთ შშმ პირი) და 60 წლის ზემოთ ქალბატონები, რომლებსაც ასაკის გამო უჭირთ სამსახურის შოვნა. სახელოსნოში შეიკვრება ხალხურ მოტივებზე შექმნილი თანამედროვე ტანსაცმელი ყველა ასაკის ადამიანებისათვის და დამზადდება სხვადასხვა სუვენირი და აქსესუარი (ტექსტილი).

ბიზნეს გეგმის წერის პერიოდში გამარჯვებული სტუდენტები და ორგანიზაციის წარმომადგენლები ერთ მჭიდრო გუნდად შეიკრნენ და პრეზენტაციის დროს განაცხადეს, რომ სტუდენტური გუნდის წევრები საწყის ეტაპზე მოხალისეობრივ



საფუძველზე იმუშავენ, იმისათვის რომ საწარმომ თავისი ადგილი დაიმკვიდროს ბაზარზე, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ მათი შრომა ანაზღაურებადი გახდება.

გამარჯვებული ბიზნეს გეგმის ავტორები სოციალური საწარმოს დასაფუძნებლად საგრანტო დაფინანსებას მიიღებენ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისგან. აგრეთვე კონკურსის მხარდამჭერმა კომპანიამ "ჯეოსელი"

ყველა მონაწილე სტუდენტს გადასცა საჩუქრები. დასკვნით ღონისძიებას ასევე ჰყავდა სხვა მხარდამჭერები: თბილისის მერია, tbsc consulting, ალიანს ჯგუფ ჰოლდინგი და ვისოლი, რომლებმაც დააწესეს პრიზები სტაჟირების სახით. როგორც ცნობილია, პროექტს აქვს ყოველწლიური ხასიათი, შესაბამისად მიმდინარე წლის ბოლოს

წარმატებული უნივერსიტეტების გამორჩეულ სტუდენტებს ისევ მიეცემა შესაძლებლობა ჩაერთონ კონკურსში, გამოსცადონ საკუთარი შესაძლებლობები და წვლილი შეიტანონ საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარებაში.

CAF, სესია “სოციალური საწარმო: სოციალური ცვლილების კატალიზატორი”



2014 წლის 13-14 თებერვალს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა ჩაატარა პირველი ცვლილებების ინიციატორთა ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო აქტივისტებმა, ხელოვანებმა, მედიის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების და კერძო კომპანიების წარმომადგენლებმა. ფორუმის ერთ-ერთი სესია

მიეძღვნა სოციალურ მეწარმეობას, რომლის მიზანი იყო წარმოეჩინა სოც.მეწარმეობის პოტენციური სოციალური ცვლილებებისა და სოციალური ინიციატივების დამკვიდრების კუთხით.

სესიის მსვლელობისას ყურადღება გამახვილდა საქართველოს კონტექსტში და განიხილა სოციალური მეწარმეობის სფეროში სამთავრობო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორებს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები კონკრეტული სოციალური პრობლემების დაძლევის მიზნით. მომხსენებელთა შორის იყო სოციალურ საწარმოთა გაერთიანება „აშოკა“-ს (ისრაელი) მმართველი დირექტორი ნირ ცუკი. მან მონაწილეებს გაუზიარა ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო გამოცდილება. რის შემდეგაც კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა დისკუსია, რაში დამსწრე საზოგადოებამაც მიიღო მონაწილეობა.



სოციალური საწარმო "სობისის ახალგაზრდული კოოპერატივი"

ა(ა)იპ ეთიკვინანსი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც თავისი საქმიანობით ცდილობს შეცვალოს საზოგადოების ცნობიერება და ხელი შეუწყოს ისეთი პროექტების განხორციელებას, რომელიც სოციალური, კულტურული, ეთიკური და ეკოლოგიური მიზნების განხორციელებას ემსახურება.

გორის რაიონის სოფელი სობისი მდებარეობს კონფლიქტურ რეგიონში, სადაც ახალგაზრდებს სკოლის დამთავრების შემდეგ არ აქვთ პერსპექტივა დაეუფლონ რაიმე პროფესიას, დასაქმდნენ და დამკვიდრდნენ ადგილობრივად. 2011 წელს ორგანიზაცია „ეთიკვინანსი“-ს ინიციატივით სოფელში განხორციელდა სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტი, რომლის მიზანიც იყო ადგილობრივი მოსახლეობის მოტივირება, მათი ადგილზე დასაქმება და შემოსავლის წყაროს გაჩენა. ორგანიზაციის დახმარებით მოეწყო პატარა წვენსაწური საწარმო და ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ პრაქტიკაში დაუფლებოდნენ მეწარმის უნარ-ჩვევებს. პრაქტიკული საქმიანობა გამყარებული იყო თეორიულ-საგანმანათლებლო კურსითაც.

განხორციელებულმა პროექტმა და მიღებულმა გამოცდილებამ საფუძველი ჩაუყარა „სობისის ახალგაზრდული კოოპერატივის“ შექმნას, რომელიც მიზნად ისახავდა ეწარმოებინა ვაშლის წვენი ყოველგვარი დანამატების გარეშე. დაქუცმაცებული ვაშლისგან გამოხდილი წვენი გაცხელებულია 80 გრადუსზე, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ვიტამინების შენარჩუნებას წვენში.



ძირითადი დატვირთვა საწარმოში იწყება სექტემბრიდან მოსამზადებელი სამუშაოებით.. ოქტომბერსა და ნოემბერში, ვაშლის მოსავლის აღებასთან ერთად იწყება წვენის წარმოება. საწარმოში სეზონურად 14-მდე ადამიანია დასაქმებული, მათ შორის 9 ახალგაზრდაა. პროცესი უზრუნველყოფს ადგილობრივი სოფლის მცხოვრებთა ჩართულობასაც, თუმცა მთავარ სამიზნე ჯგუფს ახალგაზრდები წარმოადგენდნენ. ახალგაზრდების განვითარებისა და მათი კვალიფიკაციისთვის კოოპერატივი იწვევს გერმანიიდან „სენიორექსპერტებს“, რომელთა რჩევა გათვალისწინებულია ვაშლის წვენის წარმოებისას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელიზაბეტ გასტის მხარდაჭერით ახალგაზრდებს უტარდებათ სახვითი ხელოვნების კურსები. ისინი სწავლობენ თექაზე და ხეზე მუშაობას. ამზადებენ თიხის ჭურჭელს. სწორედ ამ კურსების ფარგლებში იმუშავეს ახალგაზრდებმა ვაშლის წვენის ეტიკეტზეც.



აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდები თანდათანობით უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაწყებულ საქმეს. მუშაობენ გუნდურად და იციან, რომ საწარმოს წარმატება მეტწილად მათ დისციპლინაზეა დამოკიდებული. ახალგაზრდები ინტერესს იჩენენ ყველა სიახლის მიმართ და მთელი მონდომებით ეკიდებიან მის შესწავლას. გარდა ამისა, დასაქმებულები იღებენ გასამრჯელოს გამომუშავების მიხედვით, რაც ამ ინტერესს ერთი ორად ზრდის.

სოფლის მოსახლეობა დიდი ინტერესით ადევნებს თვალს საწარმოს არსებობასა და საქმიანობას, რაც ყოველ წელს ჩატარებულ საინფორმაციო საღამოზე დასწრებითაც გამოიხატება.

ამ ეტაპზე საწარმო უზრუნველყოფს ერთგული კლიენტებისთვის საჭირო რაოდენობის წვენს, თუმცა იგეგმება გაფართოება. რაც გულისხმობს როგორც რაოდენობის გაზრდას,, ასევე ახალი პროდუქტის შექმნას.

ვაშლის წვენი „სობისური“ იყიდება მაღაზია „მონასტრის ბარაქა“-ში, სიონის ეკლესიის ეზოში და შაბათობით 10სთ-დან ვაკეში, გეგეშიძის სკვერთან გამართულ ბიო-ბაზრობაზე. ასევე, „ეთიკვინანს“-ის ოფისში- ბაქრაძის ქ. 19. ტელ: 2304369. მიტანა ადგილზე შესაძლებელია ყუთის (ან მეტის) შეკვეთის შემთხვევაში.

ჰალტის პრიზი

2009 წელს Hult საერთაშორისო ბიზნეს სკოლის ბიზნეს ფაკულტეტის სტუდენტს Ahmad Ashkar ჰქონდა ძალიან დამაჯერებელი იდეა, რომელიც გაჯერებული იყო მთელი მსოფლიოს მასშტაბით კოლეჯების და უნივერსიტეტების სტუდენტების ცხოვრების შეცვლის მეთოდებით. დღევანდელი მდგომარეობით Hult Prize არის სოციალური მეწარმეობის კონკურსის ეტალონი. ის ასევე მსოფლიო ბიზნეს სკოლების ღონისძიებებს შორის ყველაზე აღიარებულია და თავს უყრის ყველაზე საუკეთესო იდეებს მსოფლიოს შესაცვლელად.

2013 წლის საკონკურსო თემატიკა იყო ხელმისაწვდომი საკვების გლობალური კრიზისი. ტრადიციულად კონკურსის თემატიკას ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი ასახელებს და გამარჯვებულსაც გამოავლენს. 2013 წელს კონკურსში მონაწილეობის მიღების სურვილი 11 000 სტუდენტმა გამოთქვა 150-ზე მეტი ქვეყნიდან. გამარჯვებული გუნდი და 1 000 000 \$ მფლობელი სოციალური საწარმოს დასაფუძნებლად გახდა Apsire/ McGill University.



გამარჯვებულმა გუნდმა ჩაატარა კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ ღარიბ უბნებში მოსახლეობის უმრავლესობა მშვიერი არ დადის, თუმცა ისინი დგანან ორგანიზმისთვის საჭირო საკვები ღირებულებების მქონე საჭმელზე ხელმისაწვდომობის პრობლემის წინაშე. გამარჯვებული გუნდის სოციალური საწარმო მიზნად ისახავს გააუმჯობესოს საკვებად ვარგის მწერებზე ხელმისაწვდომობა მთელ მსოფლიოში. მწერების საკვებად გამოყენება საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა დაახლოებით მსოფლიოს 100 ქვეყანაში. ამ საწარმოს მეშვეობით მოხდება მაღალი საკვები ღირებულებების მქონე მწერებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მსოფლიოს ღარიბ მოსახლეობაში.



Skoll Foundation –ის პრიზები სოციალურ მეწარმეებს

Skoll Foundation ეძებს სოციალურ მეწარმეებს, რომელთა ინოვაციურულმა საქმიანობამაც უკვე მოახდინა გავლენა მსოფლიოში არსებულ პრობლემურ საკითხებზე და დებს ინვესტიციას იმ იმედით, რომ მასშტაბი კიდევ უფრო გაიზრდება.



2014 წლის 5 მარტს **Skoll Foundation**-მა წარადგინა 7 სოციალური მეწარმე რომლებიც მიმდინარე წელს ფონდისგან ჯილდოს სახით მიიღებენ \$1.25 მილიონს, სამ წლიან ფინანსურ მხარდაჭერას მათი საქმიანობის გასაფართოებლად. ვინ არიან ისინი?

B Lab აყალიბებს გლობალურ მოძრაობას რათა გარდაქმნას ტერმინი "წარმატება" ბიზნესში, ისე რომ ყველა კომპანია იბრძოდეს არა მხოლოდ იმისთვის, რომ იყოს მსოფლიოში საუკეთესო არამედ იყოს მსოფლიოსთვის საუკეთესო. **B Lab** აყალიბებს ახალ სექტორს, საკანონმდებლო სტრუქტურას და სტანდარტებს; აძლიერებს სერთიფიცირებულ B კორპორაციების საზოგადოებას და ხელს უწყობს ისეთი საჯარო პოლიტიკის გავრცელებას რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიებს შემწან ფინანსური, სოციალური და გარემოსდაცვითი ღირებულებები როგორც მეწილეებისთვის ასევე საზოგადოებისთვის. 20 შტატში უკვე არის 1000 B კორპორაცია და 16 000 კომპანია იყენებს მათ მეთოდებს. **B Lab** კონცენტრირებულია ამ ახალი მოდელის მთელი მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებაზე.

Fundación Capital პიონერია ინკლუზიურ ფინანსურ ინოვაციურ სისტემაში, რომელიც ეხმარება ღარიბებს დაზოგონ, გაზარდონ და დააბანდონ მათი აქტივები, დაიცვან ოჯახები რისკისგან და გამოიყვანონ სიღარიბიდან. მიმდინარე პერიოდისთვის უკვე მოიცვეს 3 მილიონი ადამიანი და მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში აპირებენ ეს მაჩვენებელი 8 მილიონამდე გაზარდონ რისი მიღწევაც შესაძლებელი იქნება ტრენინგებზე, კაპიტალზე და სხვადასხვა შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით.

Girls Not Brides არის 300-ზე მეტი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საერთაშორისო პარტნიორობა 50 სხვადასხვა ქვეყნიდან. ორგანიზაცია მიზნად ისახავს შექმნას მსოფლიო "ბავშვი პატარძლების" გარეშე.

Global Witness განვითარებულ ქვეყნებში 2002 წლიდან 2011 წლის ჩათვლით კორუფციული გარიგებების შედეგად წარმოქმნილმა ფულადმა ნაკადებმა \$6 ტრილიარდი

შეადგინა. Global Witness იძიებს და სააშკარაოზე გამოაქვს საეჭვო კავშირები რომელიც საფუძვლად უდევს კორუფციულ გარიგებებს და გარემოს განადგურებას.

Medic Mobile დღეისათვის მსოფლიოს მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს პროფესიონალ ექიმთან მისვლის საშუალება თუმცა მათ უმრავლესობას აქვს მობილური ტელეფონი. Medic Mobile ქმნის მობილურის აპლიკაციებს ჯანდაცვის მუშაკებისთვის, აღმზრდელებისა და პაციენტებისთვის.

Slum Dwellers International (SDI) ორგანიზაცია ეხმარება ღარიბ უბნებში მცხოვრებ მოსახლეობას შეიქმნან უკეთესი მომავალი, გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები და დაამყარონ პარტნიორული ურთიერთობები სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინკლუზიური ქალაქების შესაქმნელად.

Water & Sanitation for the Urban Poor (WSUP) ეხმარება ღარიბ უბნებში მცხოვრებ დაახლოებით 2 მილიონ ადამიანს 6 ქვეყანაში ჰქონდეთ სუფთა წყალი და სანიტარული პირობები.

თუ აღარ გსურთ მიიღოთ [სოციალური მეწარმეობის საინფორმაციო ჟურნალის](#) შემდეგი გამოცემები, გამოაგზავნეთ ტექსტი - "გამოწერის გაუქმება" შემდეგ მისამართზე: info@cse.ge



ყველა საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრს